ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №23

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
2. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
3. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ ***შ.პ.ს. „მოსავლის მართვის კომპანია“-სა*** (შემდგომში „შემსყიდველი“)
მდებარე ქ. თელავი, სოფ. აკურა
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები

და მეორეს მხრივ ***შ.პ.ს. „გორგია” -ს*** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.
მდებარე ქ. თელავი, ალაზნის №77
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი (SMP220002688)

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **შ.პ.ს. ”გორგია”-საგან** ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები (CPV44600000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის განკარგულება №1929).

4. ხელშეკრულების ღირებულება

1. მოსაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **70.00** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2. მოსაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში, სასაქონლო ზედნადებსა და ანგარიშ-ფაქტურაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2023 წლის 08 თებერვლიდან 2023 წლის 15 თებერვლამდე, განმავლობაში მოთხოვნის შესაბამისად.

2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.
3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.
4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონელი მოწოდებული იქნება ეტაპობრივად, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **შ.პ.ს. „მოსავლის მართვის კომპანიის”** საფინანსო სამსახური.

8. გარანტია და ხარისხი

1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი არ გამოავლენს დეფექტებს, ან/და რაიმე სახის ნაკლს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
2. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა, სასქონლო ზედნადები და ა.შ.) წარმოდგენის შემდეგ.
3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება ნაღდი/უნაღდო.

10. ფასები

1. ფასები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 15 მარტამდე.

2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შ.პ.ს. „მოსავლის მართვის კომპანია“ **ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6** **ს/ნ 405406109** **ბანკი ს.ს. „თიბისი ბანკი“** **ბანკის კოდი TBCBGE22** **ანგ.№ GE98TB7992036060100001** **დირექტორი:** Paata Tchavtchanidze Digitally signed by Paata Tchavtchanidze Date: 2023.02.08 14:16:36 +04'00' **---------- / პაატა ჭავჭანიძე /**	**შ.პ.ს. „გორგია”** **ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10** **ს/ნ 245621288** **სს “თიბისი ბანკი”** **ბანკის კოდი TBCBGE22** **ანგ.№ GE62TB1007536020100008** **დირექტორი:** **---------- / ხვიჩა პაპუნიძე /**

2023 წლის 08 თებერვალს გაფორმებული
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №23-ის
დანართი №1

№	საქონლის დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	CPV
1	ინფრაწითელი გამათბობებლი (EX25) 2500W	ცალი	1.00	70.00	70.00	44600000

შემსყიდველი Paata Tchavtchanidze Digitally signed by Paata Tchavtchanidze Date: 2023.02.08 14:17:10 +04'00'

მიმწოდებელი: ----------